როგორ ვასწავლოთ ღირებულებები?

მაია ზიბზიბაძე

მაისი, 2026

როდის და როგორ ფორმირდება ღირებულებები?

ეს კითხვა მნიშვნელოვანია და მასზე პასუხის გასაცემა ცოტაოდენი „თეორია“ დაგვჭირდება. ცნობილია, რომ ღირებულებების ფორმირება იწყება ადრეულ ასაკშივე, ოჯახური და სოციალური გავლენების შედეგად. პიროვნების მორალური განვითარების კანონზომიერებებზე მრავალი ცნობილი თეორია და ავტორი საუბრობს.

ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია კარგად ცნობილი კონცეფციაა, რომელსაც ეფუძნება თანამედროვე კონსტრუქტივისტული პედაგოგიკა. შედარებით ნაკლებად ცნობილია მისი ნაშრომების ადრეული მიმართულება, რომელიც ბავშვის მორალურ განვითარებას ეხებოდა (Jean Piaget, "The Moral Judgment of the Child", 1932). ამ უკანასკნელის მიხედვით მორალური განვითარება ეტაპობრივია და ეყრდნობა კოგნიტურ განვითარებას. პიაჟემ ორი ეტაპი გამოყო: 5-დან 10 წლამდე პერიოდი, როდესაც ბავშვები წესებს აღიქვამენ როგორც უცვლელ, აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მოცემულობად და 10 წლის შემდგომი პერიოდი, როდესაც წესები ხდება შეთანხმება და ექვემდებარება განსჯას.

ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორია Lawrence Kohlberg, "Essays on Moral Development" (1981-1984)) ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კონცეფციაა, რომელიც ხსნის, თუ როგორ ყალიბდება ადამიანის მორალური აზროვნება და ღირებულებები დროთა განმავლობაში. კოლბერგი ამტკიცებდა, რომ მორალური განვითარება არა მხოლოდ სოციალური ნორმების ათვისებას, არამედ რაციონალური მსჯელობის ეტაპობრივ ფორმირებას გულისხმობს. მისი თეორიის მიხედვით ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებისას პიროვნება ნაბიჯ-ნაბიჯ გადის მორალურ განვითარების გზას პრეკონვენციურიდან კონვენციურ დონემდე.

კოლბერგის თეორიამ განვითარება ჰპოვა ჯეიმს რესტის ნაშრომებში (James Rest, "Postconventional Moral Thinking: A Neo-Kohlbergian Approach", 1999), რომელმაც შეიმუშავა ე.წ. მორალური განსჯის ჩარჩო. აღნიშნული ავტორი ფოკუსირდება მორალური ქცევის წანამძღვრებზე, რომელიც, მისი აზრით, ოთხი კომპონეტისგან შედგება: მგრძნობელობა, განსჯა, მოტივაცია, ქცევა. რესტის მიხედვით:

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

- მორალური მგრძნობელობა მნიშვნელოვანია შესაბამისი პრობლემის ამოცნობისათვის;
- განსჯა გულისხმობს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებულ მორალურ პრინციპებზე დაფიქრებას;
- მოტივაცია წარმოადგენს პრიორიტეტის მინიჭებას კონკრეტული მორალური გადაწყვეტილებისათვის და არა - საკუთარი ინტერესისა და საზოგადოებაში მიღებული ნორმებისათვის;
- ქცევა მოიაზრებს განსჯის შედეგის და მიღებული გადაწყვეტილების მოქმედებაში გამოხატვას.

ამ ოთხის ერთობლიობა ქმნის თანმიმდევრულ პროცესს, სადაც თითოეული მათგანი წინა ეტაპია შემდეგისათვის. მორალური განსჯის ჩარჩო ხსნის, თუ როგორ მიდის ადამიანი მორალურ და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ქმედებებისკენ.

ლოურენს კოლბერგის კიდევ ერთი მემკვიდრეა ჯორჯ ლინდსი (Georg Lind). მან აქცენტი გადაიტანა მორალურ კომპეტენციაზე და მის გაზომვაზე. ლინდსის მიხედვით, მორალური განვითარება არ არის მხოლოდ ის, თუ რა ღირებულებები გვაქვს, მთავარია მორალური კომპეტენცია - მივიღოთ გადაწყვეტილებები და ვიმოქმედოთ შინაგანი მორალური პრინციპების საფუძველზე, მაშინაც კი, როცა არსებობს საპირისპირო სოციალური წნეხი. ლინდსმა შიმუშავა მორალური განსჯის ტესტი (MCT - Moral Judgment Test), როგორც ამ კომპეტენციის გაზომვის რაოდენობრივი ინსტრუმენტი. ტესტი აფასებს, რამდენად შეუძლია ადამიანს თანმიმდევრული დარჩეს თავის მორალურ პრინციპებში, მაგალითად, მაშინაც კი როდესაც ის აფასებს არგუმენტებს, რომლებიც მას არ მოსწონს.

მიუხედავად საპატიო ხანდაზმული ასაკისა, განხილულ თეორიებს აქტუალობა არ დაუკარგავთ. მათ აქვთ ის საერთო მახასიათებლები, რომელთაც პრაქტიკულად ეყრდნობა კიდეც თანამედროვე პედაგოგიკა:

- ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბება ეტაპობრივი პროცესია, სადაც ყოველი ეტაპი აუცილებელი საფუძველია მომდევნოსთვის;
- მორალურ განვითარება ეფუძნება კოგნიტურ განვითარებას და განათლებას, შესაბამისად, მათ გარეშე ძალიან „მოიკოჭლებს“;
- მორალური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობები - თამაში, დისკუსია, ნებისმიერი სახის ინტერაქცია მშობლებთან, თანატოლებთან, მასწავლებლებთან და ა.შ.;
- ღირებულებების გაცნობიერებული გათავისებისთვის მნიშვნელოვანია ანალიზი, მსჯელობა, არგუმენტაცია, პოზიციის ახსნა.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების მორალური განვითარება ადრეულ ბავშვობაში იწყება, ისინი განსაკუთრებით აქტიურად ვითარდება მოზარდობის პერიოდში, როდესაც ინდივიდი აქტიურად ეძებს საკუთარ იდენტობას და ავითარებს საკუთარ მორალურ ხედვას (Tompson et al, 2025;. Daniel E et al, 2023, Ahn et al, 2022). მოზარდობის დიდ ნაწილს მოზარდი სკოლაში ატარებს, შესაბამისად, სასკოლო გარემოს, ადამიანებს და კონკრეტულ სასწავლო საგნებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ღირებულებების შეძენასა თუ გაღრმავებაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა საგანს გააჩნია ის ეთიკური და სოციალური განზომილებები, რომლითაც მჭიდროდ უკავშირდება რეალურ ცხოვრებას და თანამედროვეობას. შესაბამისად, თითოეული საგანი იძენს აქტუალური სასწავლო კონტექსტის მნიშვნელობას, რითაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პიროვნების ღირებულებითი სისტემის ფორმირებაში.

რომელი ღირებულებებია ძირითადი?

როგორც სტატიის პირველ ნაწილში აღინიშნა, გადის რა ცნობიერების განვითარების ეტაპებს, ადამიანი აყალიბებს:

- პრაგმატულ ღირებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია პირადი კომფორტის/ეფექტიანობისთვის.
- ინსტრუმენტულ ღირებულებებს, რომლებიც ეხმარება: სოციალური/კარიერული სარგებლის მიღწევაში.
- მორალურ ღიებულებებს, რომლებიც ექვემდებარება უნივერსალური ეთიკა ნებისმიერ სიტუაციაში.

ყველა ჩამოთვლილი განვითარების აუცილებელი ეტაპია და შესაბამისად, კითხვა ღირებულებების პრიორიტეტულობის შესახებ იმთავითვე არასწორია, კონკრეტულ კონტექსტში ყველა ღირებულება მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ითვლება, რომ მორალური ღირებულებების გამომუშავება და მათი ცხოვრებაში გადატანა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პრაგმატული და ინსტრუმენტული ღირებულებებისა. საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან ჰარმონიაში ცხოვრება სწორედ მორალური რანგის ღირებულებების ფლობის შედეგად არის შესაძლებელი, როგორიცაა, პასუხისმგებლობა, პატივისცემა, ზრუნვა, სამართლიანობა, გულწრფელობა, თანაგრძნობა, მშვიდობისკენ სწრაფვა და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში ეს ღირებულებები აღქმული უნდა იყოს არა როგორც როგორც "შესასწავლი მასალა", არამედ როგორც კონტექსტი, რომლის

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

გამოყენებითაც მოსწავლეს ვაძლევთ საშუალებას თავად მივიდეს ლოგიკურ დასკვნამდე, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ღირებულებები მივაწოდოთ არა მტკიცებითი ფორმით (მაგალითად: "სამართლიანობა მნიშვნელოვანია ყველასათვის!"), არამედ მივცეთ ამ დასკვნის გამოტანის საშუალება კონკრეტული კონტექსტის განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში „ღირებულებების სწავლების" ნებისმიერი მცდელობა აღქმული იქნება თავსმოხვეულ მოსაზრებებად და შესაძლებელია, საწინააღდეგო ეფექტიც მოახდინოს (Patry et al, 2007).

ღირებულებითი განათლების მეთოდოლოგია

ღირებულებითი განათლების პედაგოგიკა აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ასევე სრულიად ახალ და კვლევაზე დაფუძნებულ მეთოდებს. არსებობს არაერთი სტრატეგია და თეორიული ჩარჩო, რომელიც ამ მიზნით გამოიყენება.

ქვემოთ მოცემულია ღირებულებით განათლებაში გამოყენებული ძირითადი მეთოდებისა და მიდგომების ჩამონათვალი მოკლე განმარტებებთან ერთად:

1. **დისკუსიასაზე დაფუძნებული მიდგომები** - პირველ ყოვლისა ეს არის კარგად ცნობილი სოკრატული დიალოგი, ანუ მართული კითხვები დასკვნამდე მისასვლელად; ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებების შემცველი რეალური ქეისების განხილვა და არგუმენტირება დილემების გადაჭრის მიზნით.
2. **თხრობითი, ლიტერატურაზე დაფუძნებული მიდგომები** გულისხმობს მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების გამოყენებას ეთიკური ასპექტების განსახილველად, ადამიანური გამოცდილების გასაანალიზებლად, რაც კარგად ცნობილი და დამკვიდრებული გზაა. ამ მიზნით მოსახერხებელია მოთხრობების, ბიოგრაფიების, იგავების გამოყენება და პერსონაჟების დახასიათება ღირებულებით კონტექსტში.
3. **მორალური განვითარების თეორიებზე დაფუძნებული მიდგომები** ეყრდნობა კოლბერგისეული დილემების შეთავაზებას და მორალური აზროვნების განვითარებას; ისინი მიზნად ისახავს რესტის ოთხკომპონენტიანი მოდელის შესაბამისად მოსწავლეებში მორალური მგრძნობელობის გაზრდას, ფასეულობებზე დაფიქრებას, მორალურად გამართლებული გადაწყვეტილებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას და მორალურად გამართლებული მოქმედების მნიშვნელობის დანახვას;
4. **რეფლექსიური დღიურის წარმოება** მოიაზრებს ყოველდღიურ სიტუაციებზე, მოვლენებზე, ადამიანებს შორის ურთიერთობებზე დაკვირვების გზით მიღებულ ჩანაწერებს, რომელიც ხდება საფუძველი პიროვნული ღირებულებების განხილვისთვის, თვითშემეცნებისა და თვითშეფასებისათვის;

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

5. **მოქმედებაზე და ჩართულობაზე დაფუძნებული მიდგომები** გულისხმობს მოხალისეობრივ ჩართულობას სათემო ღონისძიებებში; მონაწილეობას სოციალურ პროექტებში; აქვე მოიაზრება დემოკრატიული პრინციპების (მაგ., ხმის უფლება, სამართლიანობა, მონაწილეობა) განხილვა კლასის/სკოლის მმართველობის ფარგლებში;
6. **ინტეგრირებული, ინტერდისციპლინარული, გლობალური მიდგომები** მოიცავს ძირითადად, პროექტული სწავლების მაგალითებს, რომლებიც ფოკუსირებულია მშვიდობის სწავლებაზე, ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებზე, კულტურათშორისი გაგებისა და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობაზე, ემპათიის განვითარებაზე;
7. **Vake (Values and Knowledge Education)** წარმოადგენს სპეციფიკურ პედაგოგიურ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს საგნობრივი ცოდნისა და ღირებულებების ერთობლივ „გადაცემას“ შემსწავლელისათვის. ის იყენებს მორალური ხასიათის დილემებს ერთი მხრივ, ღირებულებების განვითარების, მეორე მხრივ, ცოდნის კონსტრუირების ხელშესაწყობად. ეფუძნება კონსტრუქტივისტული სწავლის თეორიებსა და მორალური განათლების პრინციპებს.

როგორც ვხედავთ, მიდგომები და ინსტრუმენტები ღირებულებითი განათლების განსახორციელებლად საკმაოდ მრავალფეროვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ხდება ცოდნა თითოეულის სპეციფიკის შესახებ, არჩევანის გაკეთება და ბოლოს, ეფექტიანი გამოყენება სხვადასხვა საგნის კონტექსტში დასანერგად.

ცალკე აღსანიშნავია VaKE, როგორც სპეციფიკური პედაგოგიური მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს საგნობრივი ცოდნისა და ღირებულებების ერთობლივ შეძენას. მეთოდი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ სწავლის თეორიებსა და მორალური განათლების პრინციპებს. იგი იყენებს დილემებს, როგორც ინსტრუმენტს, რათა ხელი შეუწყოს როგორც ღირებულებების განვითარებას, ასევე ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

VaKE-ს ფარგლებში სწავლება არ გულისხმობს ღირებულებების მზა და პოზიტიური ფორმით მიწოდებას, რაც ხშირად აღიქმება, როგორც თავსმოხვეული მოსაზრება და შესაძლოა საპირისპირო ეფექტიც კი ჰქონდეს. ამის ნაცვლად, იქმნება სასწავლო კონტექსტი, სადაც მოსწავლე თავად ეძებს მისთვის საინტერესო ცოდნას, პასუხობს დილემაში წამოჭრილ გამოწვევებს და რეალური ეთიკური კონფლიქტების ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის გზით მიდის ლოგიკურ დასკვნებამდე.

VaKE პროცესში მასწავლებელი ინარჩუნებს ფასილიტატორის პოზიციას და არ გვევლინება, როგორც „ყოვლისმცოდნე“ მსაჯული, რაც მოსწავლეებს მოუწოდებს დამოუკიდებლად მოძებნონ მტკიცებულებები და აღიარონ სხვების არჩევანის ლეგიტიმურობა. ასეთი მიდგომა

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი აკადემიური საგანი გახდეს შესაბამისი სასწავლო კონტექსტი, სადაც თეორიული ცოდნა ორგანულად არის დაკავშირებული პიროვნული ღირებულებითი სისტემის ფორმირებასთან.

როგორ გამოვიყენოთ ღირებულებითი განათლების თეორიული პრინციპები პრაქტიკაში

როგორც ვნახეთ ღირებულებით განათლებას მყარი თეორიული საფუძვლები აქვს. ის დგას ცნობილი და პოპულარული თეორიების პრინციპებზე, იყენებს მრავალფეროვან პედაგოგიურ მიდგომებს. მაგრამ მაინც - როგორ გამოვიყენოთ ეს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში? როგორ ვასწავლოთ ღირებულებები ჩვენს გაკვეთილებზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ რამდენიმე საკვანძო პრინციპი, რათა ვიცოდეთ, რომ თუ სასწავლო პროცესს მათი დახმარებით ავაგებთ, მცირე წვლილს მაინც შევიტანთ ჩვენი მოსწავლეების ღირებულებით განათლებაში.

- არ მოვახვიოთ თავზე ღირებულებები მზა და მტკიცებითი ფორმით, არამედ შევქმნათ სასწავლო კონტექსტი, მაგალითად დილემების განხილვით, სადაც მოსწავლე აღმოჩნდება ღირებულებითი კონფლიქტის წინაშე და მოუწევს არჩევანის გაკეთება.
- ავირჩიოთ სწავლების ფორმად დისკუსია, როლური თამაშები, დილემების განხილვა. ვთხოვოთ მოსწავლეებს პოზიციის არგუმენტირება. მას მოუწევს არჩევანის დასაბუთება და იმის აღიარება, რომ სხვისი არჩევანიც ლეგიტიმურია;
- ჩვენ, მასწავლებლები, ნუ ჩავდგებით მოსამართლის, ან ყოვლის მცოდნის როლში. დავიცვათ ნეიტრალური პოზიცია და წავახალისოთ მსჯელობა. დაე, ჩვენს მოსწავლეებს ნუ ეცოდინებათ ის ერთადერთი და სასურველი პასუხი, მათგან მოელიან.
- ნუ შევაფასებთ პოზიციას, შევაფასოთ აზროვნება და მსჯელობის ის გზა, რომელიც მოსწავლის გადაწყვეტილებას უძღოდა წინ.
- ვეძებოთ ღირებულებები თითოეული საგნის შინაარსში, რადგან ისინი ორგანულად არის დაკავშირებული ნებისმიერ სასწავლო დისციპლინასთან. მაგალითად, ლიტერატურაში ვიმსჯელებთ თანაგრძნობაზე, სიყვარულსა და მეგობრობაზე ()და არა მხოლოდ); ისტორიაში - სამართლიანობასა და ძალაუფლებაზე; მათემატიკაში - სიზუსტესა და პასუხისმგებლობაზე, საბუნებისმეტყველო საგნებში - გარემოზე ზრუნვასა და ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობაზე. ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს ნებისმიერი სხვა საგნით .

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიდგომა წარმოადგენს წინაპირობას იმისათვის, რომ სკოლა იყოს ღირებულებების გააზრებული ფორმირების ადგილი, სადაც სასწავლო პროცესი მოსწავლის პიროვნულ და მოქალაქეობრივ განვითარებაზეა ფოკუსირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

Ahn, J. S., Busque-Carrier, M., Cho, S., & Rivard, G. (2022). Value change across adolescent years: How do adolescents' intrinsic and extrinsic values develop? *Journal of Research in Personality*, 99, Article 104263. https://doi.org/10.1016/j.jrp.2022.104263

Daniel, E., Döring, A. K., & Cieciuch, J. (2023). Development of intraindividual value structures in middle childhood: A multicultural and longitudinal investigation. *Journal of Personality*, 91(2), 482–496. https://doi.org/10.1111/jopy.12742

Kohlberg, L. (1981–1984). *Essays on moral development* (Vols. 1-3). Harper & Row. Essays on Moral Development (vol.1) - The Philosophy of Moral Development PDF

Lind, G. (1999). The meaning and measurement of moral competence revisited: A dual-aspect model. *Psychology Reflection and Critique*, 13(3), 399–416.

Patry, J.-L., Weinberger, A., & Weyringer, S. (2007). Combining values and knowledge education (VaKE): An approach to teacher education for professional ethics. In A. Craft, H. Gardner, & G. Claxton (Eds.), *Creativity, wisdom and trusteeship: Exploring the role of education* (pp. 145–160). Trentham Books.

Piaget, J. (1932). *The moral judgment of the child*. Semantic Scholar. https://www.semanticscholar.org/paper/The-Moral-Judgment-of-the-Child-Piaget/9f905848cc5372096cac9e226a251631bf4c5b97

Rest, J., Narvaez, D., Bebeau, M., & Thoma, S. (1999). *Postconventional moral thinking: A neo-Kohlbergian approach*. Lawrence Erlbaum Associates. https://doi.org/10.4324/9781410603913

Tompson, S. E., Schmidt, V. H., Bardi, A., & Read, J. A. (2025). Children's personal values and their behavior in the classroom in the early elementary school years: Mapping longitudinal trajectories. *European Journal of Psychology of Education*. Advance online publication. https://doi.org/10.1007/s10212-025-00966-2

ევროპული და სამხრეთ კავკასიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონსორციუმი. (2026). *პროექტის „ღირებულებითი განათლების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ (PROVE) მასალები.*

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or The European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor the granting authority can be held responsible for them.